„დამტკიცებულია"

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

დადგენილება № 107(17/18)

„ 26 „ ივნისი „ 2018 წ.

რექტორი: _____ გიორგი ღავთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა

ბიბლიოთეკარი

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59.
ტელ: 577 131571
e-mail: giorgi.chichinadze@atsu.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი:
გიორგი ჭიჭინაძე
აწსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორი

ქუთაისი
2017 წ.

I. **პროგრამის სახელწოდება:** ბიბლიოთეკარი

II. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი:** 03202-3

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

V. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
ბიბლიოთეკარისპროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში,ქალაქის,სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

VI. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

VII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზება
- ფონდის დაკომპლექტება
- ფონდის მართვა
- ფონდის დაცვა
- საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა
- საბიბლიოთეკო მომსახურება
- კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება

VIII. **პროგრამისმოცულობა და ხანგრძლივობა.**

1. **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

- **მოცულობა:** 94 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 16 სასწავლო თვე

2. **არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

- **მოცულობა:** 124 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 21 სასწავლო თვე

IX. **პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

ზოგადი მოდულები			
№	მოდულისდასახელება	მოდულზედაშვებისწინაპირობა	კრედიტი
1	ინტერპერსონალურიკომუნიკაცია	საბაზოგანათლება	3
2	ინფორმაციულიწიგნიერება 1	საბაზოგანათლება	3
3	რაოდენობრივიწიგნიერება	საბაზოგანათლება	2
4	მეწარმეობა 2	საბაზოგანათლება	2
5	ინგლისურიენა	საბაზოგანათლება	5
ჯამი			15
სავალდებულო პროფესიული მოდულები			
6	გაცნობითიპრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	საბაზოგანათლება	2
7	საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება	სრული ზოგადიგანათლება	3
8	ფონდის დაკომპლექტება	სრული ზოგადიგანათლება	5
9	ფონდის მართვა	სრული ზოგადიგანათლება	10
10	ფონდის დაცვა	სრული ზოგადიგანათლება	7
11	საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა	სრული ზოგადიგანათლება	10
12	საბიბლიოთეკო მომსახურება	სრული ზოგადიგანათლება	8
13	კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები	სრული ზოგადიგანათლება	8
14	პრაქტიკული პროექტი ბიბლიოთეკარისთვის	სრული ზოგადიგანათლება	6
15	საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	სრული ზოგადიგანათლება	12
ჯამი			71
არჩევითი მოდულები			
16	რუსული ენა	საბაზო განათლება	4
17	ინტელექტუალური თავისუფლება ბიბლიოთეკებში	სრული ზოგადიგანათლება	2
18	საბიბლიოთეკო მარკეტინგი	სრული ზოგადიგანათლება	2
ჯამი			8
სულ			94

X. **ქართული ენის მოდულების გავლის შესახებ.**

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

XI. **პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XII. **პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIII. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით

1- პროგრამა

დანართები:

დანართი 1- ზოგადი, სავალდებულო პროფეიული და არჩევითი მოდულები

დანართი 2 - ქართული ენის მოდულები

დანართი 3 სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 4- სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 5- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

ზოგადი მოდულები

1.1 ინტერპერსონალურიკომუნიკაცია;
1.2 ინფორმაციულიწიგნიერება 1;
1.3 რაოდენობრივიწიგნიერება;
1.4 მეწარმეობა
1.5 ინგლისური ენა

სავალდებულო პროფესიული მოდულები

1.6 გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი;
1.7 საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება;
1.8 ფონდის დაკომპლექტება;
1.9 ფონდის მართვა;
1.10 ფონდის დაცვა;
1.11საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა;
1.12 საბიბლიოთეკო მომსახურება;
1.13 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები;
1.14 პრაქტიკული პროექტი ბიბლიოთეკარისთვის;
1.15 საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი.

არჩევითი მოდულები

1.16. რუსული ენა;
1.17. ინტელექტუალური თავისუფლება ბიბლიოთეკებში;
1.18. საბიბლიოთეკო მარკეტინგი;

ზოგადი მოდულები: (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

2.1. ქართულიენა A2
2.2. ქართულიენა B1